შემოსავლების სამსახური

# ბრძანება N 2482

03/02/2015

**ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ შპს „მცხეთის დარბაზის" მიმართ გამოცემული 2014 წლის 19 მაისის N001-347 ბრძნების კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელისათვის საჯარო შეტყობინების მიზნით განხორციელდეს მისი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ შპს „მცხეთის დარბაზის" მიმართ გამოცემული 2014 წლის 19 მაისის N001-347 ბრძნება გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ შპს „მცხეთის დარბაზის" მიმართ გამოცემული 2014 წლის 19 მაისის N001-347 ბრძნების შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: გადახდევინების ღონისძიებების სამმართველოს უფროსის #8560-21-11, 27.01.2015 სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი